



2024

შპს ბი ემ ჯი

ფინანსური ანგარიშგება

*2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	13
5. ძირითადი საშუალებები	15
6. საინვესტიციო ქონება	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
9. სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია	17
10. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. შემოსავალი	18
13. სხვა ხარჯები	18
14. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	19
15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19
16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19
17. ფინანსური რისკი	19
18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	24
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბი ემ ჯი“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ბი ემ ჯი“-ის (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი - კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც 2024 წლის 26 აპრილს გამოსცა უპირობო მოსაზრება.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია სოფიკო ლუდუშაური.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

24 მარტი, 2025


ს. ლუდუშაური

შპს „ბი ემ ჯი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,285,746	1,440,453
საინვესტიციო ქონება	6	724,411	770,691
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,010,157	2,211,144
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		36,495	21,459
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	607,922	658,621
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	350,672	518,492
სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია	9	251,806	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,246,895	1,198,572
სულ აქტივები		3,257,052	3,409,716
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	440,589
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	10	12,509	24,231
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	322,326	154,556
სულ მიმდინარე ვალდებულებები		334,835	619,376
სულ ვალდებულებები		334,835	619,376
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,922,217	2,790,340
სულ კაპიტალი		2,922,217	2,790,340
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,257,052	3,409,716

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 24 მარტს შემდეგი პირების მიერ:


 ანა ლაპიაშვილი
 დირექტორი



 გიორგი ციკვაშვილი
 გენერალური პროდიუსერი

შპს „ბი ემ ჯი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	12	4,879,335	4,501,588
სხვა შემოსავალი		12,039	95,480
მარაგების ცვლილება		15,036	10,451
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(80,450)	(61,314)
პერსონალის ხარჯები		(3,616,646)	(3,368,744)
ცვეთა	5, 6	(254,526)	(270,007)
სხვა ხარჯები	13	(834,498)	(762,825)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	7	28,409	76,703
საოპერაციო მოგება		148,699	221,332
ფინანსური შემოსავალი	9	2,857	-
ფინანსური ხარჯი		(9,528)	(59,715)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	14	1,677	3,441
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	47,085	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	(58,913)	-
მოგება დაბეგრამდე		131,877	165,058
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		131,877	165,058
წლის სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		131,877	165,058

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 24 მარტს შემდეგი პირების მიერ:


 ანა ლაპაშვილი
 დირექტორი


 გიორგი კაცია
 გენერალური პროდიუსერი


9-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ემ ჯი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	2,625,282	2,625,282
წლის სრული შემოსავალი	165,058	165,058
31 დეკემბერი 2023	2,790,340	2,790,340
წლის სრული შემოსავალი	131,877	131,877
31 დეკემბერი 2024	2,922,217	2,922,217

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 24 მარტს შემდეგი პირების მიერ:


 ანა ლაპაშვილი
 დირექტორი



 გიორგი ისაკაშვილი
 გენერალური პროდიუსერი

შპს „ბი ემ ჯი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		131,877	165,058
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	254,387	270,007
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში	7	(40,294)	(76,703)
ფინანსური ხარჯი		9,528	59,715
ფინანსური შემოსავალი	9	(2,857)	-
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		8,708	10,376
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან	14	(1,677)	(3,441)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		359,672	425,012
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების ზრდა		(15,036)	(10,451)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება	7	91,178	178,360
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	11	167,770	(83,467)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება	10	(11,722)	(35,159)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		591,862	474,295
გადახდილი პროცენტები		(9,528)	(56,644)
მიღებული პროცენტები		1,051	-
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		583,385	417,651
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(62,109)	(62,831)
ინვესტიციების განთავსება საინვესტიციო ფონდებში		(250,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(312,109)	(62,831)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა		(439,184)	(372,408)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(439,184)	(372,408)
ფულადი ნაკადების წმინდა შემცირება		(167,908)	(17,588)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	518,492	540,513
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე		88	(4,433)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		350,672	518,492

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 24 მარტს შემდეგი პირების მიერ:


 ანა ლაზარევილი
 დირექტორი


 გიორგი ცხაკაძე
 გენერალური პროდიუსერი

9-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ბი ემ ჯი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 8 იანვარს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405247594. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ., №19, სართული 3, ოფისი №6. კომპანია წარმოადგენს მულტიმედია რესურსს, რომელიც თავს უყრის ახალ ამბებს ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ როგორც BMGTV-ის და სხვა არხის სატელევიზიო გადაცემებსა და ონლაინგამოცემაში www.bm.ge. 2022 წლის აპრილიდან BMGTV მაუწყებლობს დამოუკიდებელი საერთო მაუწყებლის ლიცენზიის საფუძველზე. შპს ბი ემ ჯის გუნდის მიერ მომზადებული სატელევიზიო გადაცემების მაყურებლებისათვის და ონლაინ გამოცემის bm.ge-ს მკითხველებისათვის მუდმივად განახლებად რეჟიმში მოიპოვებს, ამუშავებს და გადასცემს საქმიან ამბებს ბიზნესზე და ეკონომიკაზე. კომპანიის მიერ მომზადებული სატელევიზიო პროდუქტებია: BMGAUTO, BMGTalks, ბიზნესის კვირეული, საქმიანი დილა, საქმის კურსი, საქმიანი საღამო, ქალების ნარატივი, #წერტილი, ანალიტიკა, #Forbesკვირა, უძრავი ქონების PROSPECT, რედაქტ2, TheCheckPoints, საუბრები ავიაციაზე, BMGDRIVE, შეცვალე წესები, #საქმიანები, E-მოგზაურე, #ბარი, #პროფესიულიგანათლება, პორტრეტები ლევან ბერძენიშვილთან ერთად, Tech Inform, ბრენდის ხმა. BMG-ის სატელევიზიო გადაცემების ნახვა ("საქმიანი დილა", "საქმის კურსი") ყოველ სამუშაო დღეს ხელმისაწვდომია TV Pirveli-ის პირდაპირ ეთერშიც. მზარდია საინფორმაციო სააგენტო BM.ge, რომელიც მკითხველებს ქართულ და ინგლისურ ენებზე ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ეკონომიკისა და ბიზნესის ამბებს, ანალიტიკურ მასალას, ბლოგებს და ინტერვიუებს სთავაზობს.

კომპანია მეკავშირე საწარმოში (შპს "ბი ემ ჯი პარტნიორი", ს/ნ 405332849) ფლობს წილის 50%-ს. შპს ბი ემ ჯი პარტნიორი რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიას არ აქვს აქტიური ოპერაციები.

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ანა ლაპიაშვილი, 01008046140	66%	66%
ეკატერინე ბაშარული, 16001005412	34%	34%

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის მიმდინარე გეგმები, მომგებიანობა.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს დადებითი დინამიკა შეინიშნება მიმდინარე ლიკვიდურობის პროფიციტი (მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები) მონაცემში, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბერს ლიკვიდურობის პროფიციტი შეადგენს 912,060 ლარს, ხოლო 2023 წლის დეკემბრისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 579,196 ლარია. კომპანიას 2024 წლის განმავლობაში აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, რომელმაც შეადგინა 583,385 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დადებითი ფულადი ნაკადები 417,651 ლარი).

შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს თავის ფინანსურ აქტივებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და სხვა ფინანსურ აქტივებს-ინვესტიციას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, რომელიც მოიცავს სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20 წლით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალს წარმოადგენს კომპანიის სავტორო გადაცემების საეთერო სივრცეში გასვლისას დამკვეთებისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევა და კომპანიის ვებგვერდზე დამკვეთების რეკლამის განთავსება.

შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევით

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სარეკლამო მომსახურება (რეკლამის საეთერო სივრცეში ან ვებგვერდზე განთავსება) აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

კომპანიის ხელშეკრულებების უმეტესობა არის მოკლევადიანი. კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებიდან, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს მოლაპარაკებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული გაყიდვიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. კომპანიას არ აქვს ისეთი ხელშეკრულება, სადაც მომსახურების და მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. შესაბამისად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ ოპერაციაზე ანაწილებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხები

კომპანიას დანერგილი აქვს ფასს-9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის,

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

შპს „ბი ემ ჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,402,721	642,531	30,000	92,110	2,167,362
შემოსვლა	39,159	7,786	-	15,887	62,832
გასვლა/ჩამოწერა	-	(12,357)	-	(6,488)	(18,845)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,441,880	637,960	30,000	101,509	2,211,349
შემოსვლა	-	49,736	5,203	7,170	62,109
გასვლა/ჩამოწერა	-	(31,516)	(5,203)	-	(36,719)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,441,880	656,180	30,000	108,679	2,236,739
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება					
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	229,682	287,432	21,025	17,498	555,637
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	71,598	127,573	6,000	18,556	223,727
ცვეთის ამობრუნება	-	(6,097)	-	(2,371)	(8,468)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	301,280	408,908	27,025	33,683	770,896
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	72,650	109,970	3,731	21,894	208,245
გასვლის/ჩამოწერის მომენტში დაგროვილი ცვეთა	-	(27,392)	(756)	-	(28,148)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	373,930	491,486	30,000	55,577	950,993
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	1,140,600	229,052	2,975	67,826	1,440,453
2024 წლის 31 დეკემბერი	1,067,950	164,694	-	53,102	1,285,746

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 309,202 ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20,572 ლარი).

შპს „ბი ემ ჯი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ისტორიული ღირებულება	შენობა-ნაგებობები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	925,600	925,600
2023 წლის 31 დეკემბერი	925,600	925,600
2024 წლის 31 დეკემბერი	925,600	925,600
დაგროვილი ცვეთა		
2022 წლის 31 დეკემბერი	108,629	108,629
წლის ცვეთა	46,280	46,280
2023 წლის 31 დეკემბერი	154,909	154,909
წლის ცვეთა	46,280	46,280
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	201,189	201,189
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2023 წლის 31 დეკემბერი	770,691	770,691
2024 წლის 31 დეკემბერი	724,411	724,411

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,818,009 ლარს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	625,461	701,543
	625,461	701,543
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(24,283)	(64,577)
	601,178	636,966
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	1,585	21,655
წინასწარ გადახდილი ხელფასი	5,159	-
	6,744	21,655
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	607,922	658,621
საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
	2024	2023
1 იანვარი	64,577	141,280
რეზერვის ზრდა	13,065	-
გამოუყენებელი რეზერვის ამობრუნება	(47,813)	(76,703)
რეზერვის ჩამოწერა	(5,546)	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	24,283	64,577
31 დეკემბერი	24,283	64,577

შპს „ბი ემ ჯი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

პერიოდების მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი მოთხოვნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2024	მიმდინარე	31 დან 90 დღემდე	91 დან 180 დღემდე	181 დან 360 დღემდე	361 დღეზე მეტი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	272,244	175,632	41,306	92,365	43,914	625,461
გაუფასურების რეზერვი	1,501	3,410	4,374	8,768	6,230	24,283

31 დეკემბერი 2023	მიმდინარე	31 დან 90 დღემდე	91 დან 180 დღემდე	181 დან 360 დღემდე	361 დღეზე მეტი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	494,157	75,130	70,440	42,901	18,915	701,543
გაუფასურების რეზერვი	6,322	2,884	9,012	27,443	18,916	64,577

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	331,592	507,983
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	19,080	10,509
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	350,672	518,492

9. სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია

კომპანიის სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ფონდი	ვალუტა	გახსნის თარიღი	დახურვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ინვესტიციის თანხა 31/12/2024
შპს ფორსაით ინვესთმენტ გრუპ	ლარი	13.11.2024	განუსაზღვრელი	ცვალებადი	251,806
					251,806

ინვესტიციის მოძრაობა	
31 დეკემბერი 2023	-
ინვესტიციის განთავსება	250,000
საპროცენტო შემოსავალი	2,857
მიღებული პროცენტი	(1,051)
31 დეკემბერი 2024	251,806

კომპანიამ განათავსა საინვეტიციო თანხა 2024 წლის ნოემბერს საინვესტიციო ფონდში. ინვესტიცია განთავსებულია ე.წ. მოთხოვნამდე ანგარიშზე, შესაბამისად კომპანია სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეძლებს განთავსებული სახსრების გამოტანას. ცვალებად საპროცენტო განაკვეთში იგულისხმება საშუალოდ 6-8% იანი სარგებელი, რომელიც დამოკიდებულია თვითონ ფონდის მიერ განხორციელებულ ფულად განთავსებებზე. 2024 წლის განმავლობაში საშუალო საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 8.51%.

შპს „ბი ემ ჯი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

10. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზინო კოდით. შედეგად კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს საგადასახადო ვალდებულება 12,509 ლარი და 24,231 ლარი, შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულება	281,672	128,277
გადასახდელი ხელფასები	214	687
	281,886	128,964
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	40,440	25,592
	40,440	25,592
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	322,326	154,556

12. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სატელევიზიო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	3,285,572	3,086,335
არასატელევიზიო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	1,574,792	1,415,253
სხვა შემოსავლები	18,971	-
სულ შემოსავალი	4,879,335	4,501,588

13. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სარეკლამო ხარჯი	259,823	253,899
პროფესიული სერვისები	135,842	180,727
ვებ-გვერდის ხარჯები	91,558	-
კომუნიკაციის ხარჯი	67,148	113,418
კომუნალური გადასახადები	58,762	48,261
საეთერო ხარჯები	55,656	-
სასაქონლო ნიშნის გამოყენების ხარჯი	43,562	30,508
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	24,611	23,199
რეგულირების საფასური	16,327	15,363
სტუდიის რემონტის ხარჯი	11,919	-
მივლინება	11,836	15,948
საოფისე ხარჯი	10,122	5,577
საბანკო მომსახურება	2,445	2,580
სხვა	44,887	73,345
სულ სხვა ხარჯები	834,498	762,825

14. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საკურსო მოგება სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	1,589	7,874
საკურსო მოგება/(ზარალი) ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	88	(4,433)
სულ მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	1,677	3,441

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 47,085 ლარს (2023 წელი: 0 ლარი).

აღნიშნული სხვა არასაოპერაციო შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კრედიტორული ნაშთის დაკორექტირებისგან მიღებული შემოსავალი.

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 58,913 ლარს (2023 წელი: 0 ლარი).

აღნიშნული სხვა არასაოპერაციო ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს დებიტორული ნაშთის და საგადასახადო ბარათის დაკორექტირებისგან მიღებული ხარჯი.

17. ფინანსური რისკი

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ:

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	601,178	636,966
ფული და ფულის ეკვივალენტები	350,672	518,492
სხვა ფინანსური აქტივი-ინვესტიცია	251,806	-
სულ ფინანსური აქტივები	1,203,656	1,155,458
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	281,886	128,964
მიღებული სესხები	-	440,589
სულ ფინანსური ვალდებულებები	281,886	569,553

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განაპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით. კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	601,178	636,966
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	350,672	518,492
სხვა ფინანსური აქტივები-ინვესტიციები	251,806	-
სულ ფინანსური აქტივები	1,203,656	1,155,458

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

კომპანიის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2024	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	601,178	601,178
ფული და ფულის ეკვივალენტები	350,672	350,672
სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია	251,806	251,806
სულ ფინანსური აქტივები	1,203,656	1,203,656
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	281,886	281,886
სულ ფინანსური ვალდებულებები	281,886	281,886
ლიკვიდურობის გარღვევა	921,770	921,770

31 დეკემბერი 2023	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	636,966	636,966
ფული და ფულის ეკვივალენტები	518,492	518,492
სულ ფინანსური აქტივი	1,155,458	1,155,458
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	128,964	128,964
მიღებული სესხები	440,589	440,589
სულ ფინანსური ვალდებულებები	569,553	569,553
ლიკვიდურობის გარღვევა	585,905	585,905

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები.

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2024	ლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	601,178	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	331,592	16,115	2,965
სხვა ფინანსური აქტივი- ინვესტიცია	251,806	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,184,576	16,115	2,965
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	281,886	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	281,886	-	-
ღია სავალუტო პოზიცია	902,690	16,115	2,965

31 დეკემბერი 2023	ლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	633,399	3,567	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	507,983	1	10,508
სულ ფინანსური აქტივები	1,141,382	3,568	10,508
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	440,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	128,964	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	128,964	-	440,589
ღია სავალუტო პოზიცია	1,012,418	3,568	(430,081)

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავალუტო რისკის მგრძობელობა	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(593)	593	(86,016)	86,016

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავალუტო რისკის მგრძობელობა	20%	-20%	20%	-20%
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(3,223)	3,223	714	(714)

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველა, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს: მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულება		
ააიპ ბიზნესმედია საქართველო	132,672	96,672
სასაქონლო ნიშნის გამოყენების ხარჯი		
ააიპ ბიზნესმედია საქართველო	(30,508)	(30,508)
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება		
წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელო	158,460	171,751

20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები ძალაშია წლიური პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ:

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში - 2023 წლის მაისში
ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-

ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ წარმოადგინონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში - ცვლილებები ფასს 16-ში - 2022 წლის სექტემბერში ბასსს-მ გამოუშვა ცვლილებები ფასს 16-ში იმ მოთხოვნების დასაზუსტებლად, რომლებსაც გამყიდველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია - ცვლილებები ბასს 1-ში - 2020 წლის იანვარში და 2020 წლის ივლისში, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“. ცვლილება განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად უნდა ეყრდნობოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ უფლებებს. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის მოლოდინები, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას გადაავადოს ვალდებულების დაფარვა და რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაქტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას.

გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით - ცვლილებები ბასს 1-ში - 2022 წლის 31 ოქტომბერს ბასსს-მა გამოაქვეყნა „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“ (ცვლილებები ბასს 1-ში), რომლებითაც განმარტა ის, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების კლასიფიკაციაზე პირობები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საწარმომ საანგარიშგებო პერიოდიდან არაუგვიანეს თორმეტი თვის ვადაში.

სტანდარტები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ცვლილებები, რომლებსაც გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - ფასს 18 - ფასს 18 ანაცვლებს ბასს 1-ს და სავალდებულოდ ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება“ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიცა 2024 წლის აპრილში, რათა ჩანაცვლდეს ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18 მიზნად ისახავს შესადარისობის და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას, განსაკუთრებულად: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დამატებითი განსაზღვრული ქვეინფორმაციის მოთხოვნას; მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების ზომების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას; ახლი პუნქტების დამატებას, გაერთიანებისა და დაშლის პრინციპებს. IASB-ს არ გამოუყენებია ბასს 1-ის ყველა ასპექტი ფასს 18-ის შემუშავებისას, თუმცა ფოკუსირებული იყო მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე. IASB-მ შეინარჩუნა ზოგიერთი პუნქტი ბასს 1-დან ფასს 18-ში.

20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (გაგრძელება)

ცვლილებები, რომლებსაც სავარაუდოდ არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა - ცვლილება ბასს 21-ში
- ▶ ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და გაზომვა - ცვლილებები ფასს 9-ში და ფასს 7-ში.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღის მდგომარეობით, კომპანიას ადრეულად არ გამოუყენებია ახალი და შეცვლილი ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 მარტს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.